

გარდაბნის ველის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური
ძეგლები

შალვა ბაბუცძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ცქვიტინიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს, ბატონ გიორგი გვალას,
ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის
მაგისტრანტის, შალვა ბაბუციძის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შალვა ბაბუციძე

2020

აბსტრაქტი

გარდაბნის ველი არქეოლოგიურად თითქმის შეუსწავლელია. განსაკუთრებით ეს ეხება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებს - გორა ნამოსახლარებს, ტერასულ ბორცვებსა და სამაროვნებს, რომლებიც გამოვლენილია გარდაბნის ველის სხვადასხვა პუნქტებში. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ყველა ის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლი, რომლებიც გამოვლენილია გარდაბნის ველზე მიზანმიმართული არქეოლოგიური კვლევებისა თუ შემთხვევითი, სამშენებლო სამუშაოების დროს. ნაშრომში მოცემულია ჩვენს მიერ დაზვერვითი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი ტერასული ნამოსახლარი ბორცვი, გარდაბნის ველზე, სოფ. ლემშვენიერასთან და აგრეთვე, სართიჭალის მახლობლად სამი ტერასული ბორცვი - „სართიჭალა 1“, „სართიჭალა 2“ და „სართიჭალა 3“. ნაშრომში წარმოდგენილია ქ. რუსთავის ისტორიული მუზეუმის ფონდებში დაცული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური მასალა, რომლებიც არქეოლოგიური გათხრებისა და შემთხვევითი აღმოჩენების დროს იქნა გამოვლენილი ქ. რუსთავის ტერიტორიაზე. ასევე გარდაბნის ისტორიულ მუზეუმში დაცული ამავე პერიოდის არტეფაქტები, რომლებიც ქ. გარდაბნის შემოგარენშია აღმოჩენილი. აღნიშნული მასალების სინქრონული ძეგლების მასალებთან შედარებით გამოვთქვამთ მოსაზრებას გარდაბნის ველის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების დათარიღების შესახებ და წარმოვადგენთ არქეოლოგიურ რუკას, რომელზეც დატანილია გარდაბნის ველზე მდებარე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები.

საძიებო სიტყვები: გარდაბნის ველი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა, რუსთავი, ლემშვენიერა, მიხაილოვკის გორა, ჩათმა.

Abstract

It should be noted that Gardabani Valley, especially Late Bronze-Early Iron Age Sites, such as – Mound settlements, Terraced Hills, tumuli – hardly investigated archaeologically. Most of them are detected during the survey in the various areas of Gardabani Valley. This paper is an attempt to summarize all the information about sites of the Late Bronze-Early Iron Age, found through surface survey or by occasional finds on the Gardabani Valley.

We have performed archaeological survey of some terraced settlement hills in the Gardabani Valley such as: near the village Lemshveniera, also three hills near the Sartichala – Sartichala 1, Sartichala 2, and Sartichala 3.

Moreover, research represents archaeological artifacts which were discovered during archaeological excavations and occasional finds during the construction activities in the city of Rustavi. All of those artefacts are preserved in the Rustavi Historical Museum.

Furthermore, there are preserved numerous artefacts in the Historical Museum of Gardabani, which come from the environs of the Gardabani city.

Based on these materials, in comparison with other synchronous sites, I will try to express my opinion regarding the dating of the Late Bronze-Early Iron sites of the Gardaban Valley. I also prepared archaeological map with exact locations of the Late Bronze-Early Iron Age sites of the Gardabani Valley.

Keywords: Gardabani Valley, Late Bronze-Early Iron Ages, Rustavi, Lemshveniera, Mikhailovka Mound, Chatma Hill, Sartichala.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ ცქვიტინიძეს. რუსთავის ისტორიული მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ ნაზიბროლა პაჭიკაშვილს, მუზეუმის ფონდებში დაცულ არქეოლოგიურ მასალაზე წვდომისთვის. ასევე ჩემს კოლეგებს - ია ცარციძეს, მათე ახალაიასა და ქეთევან ტრაპაიძეს. გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით გარდაბნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს, ბატონ შადურ შუკვანს.